უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ჯანდაცვის მენეჯმენტი“

შპს უნივერსიტეტი გეომედი

16.03.2026

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: თამაზ

გვარი: უზუნაშვილი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	უნივერსიტეტი გეომედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204909858

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ჯანდაცვის მენეჯმენტი
2	უმაღლესი განათლების საფეხური	I
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VI
4	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	041 ბიზნესი და ადმინისტრირება
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	მეფე სოლომონ მე-2 ის ქუჩა, N4, N6, ქ. თბილისი, 0114, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2025 წლის 28 თებერვალი 472262
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2025 წლის 21 თებერვალი
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2026 წლის 21 თებერვალი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2032 წლის 21 თებერვალი

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა		X		
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა		X		
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	X			
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები		X		

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია დაკორექტირდეს კურიკულუმების რუკები პროგრამის სწავლის შედეგების განვითარების თანმიმდევრულობის კუთხით.

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

2. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა მიიღოს პროაქტიული და ყოვლისმომცველი სტრატეგიული გეგმა, რომელიც პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფის მიზნით მიმართული იქნება სტუდენტთა რაოდენობის გაზრდისკენ
3. უნივერსიტეტმა მეტი შესაძლებლობა უნდა მისცეს სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, რათა განავითარონ მათი ტრანსფერული უნარები, განსაკუთრებით საერთაშორისო გამოცდილება, სადაც განვითარება აუცილებელია.
4. რეკომენდებულია, შეფასების ინდივიდუალური კომპონენტებისთვის მაქსიმალური ქულის ცალკეული კრიტერიუმების შემუშავება.
5. რეკომენდებულია, შუალედური და დასკვნითი გამოცდების დავალებები შემუშავდეს ისე, რომ მიმართული იყოს სტუდენტების ტრანსფერული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე.
6. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააქტიუროს საერთაშორისო მობილობა სემესტრული გაცვლითი პროგრამების და მოკლევადიანი საერთაშორისო პროექტების მიმართულებით.
7. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ პროგრამა გახდეს თვითდაფინანსებადი და მდგრადი გრძელვადიან პერსპექტივაში.
8. რეკომენდებულია, თვითშეფასების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილოების ხელშეწყობა იმისათვის, რომ ეფექტურად მუშაობდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
9. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უფრო აქტიურად გაითვალისწინოს და შეასრულოს აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები და რჩევები.
10. რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგები ისე რომ მოიცვას აქტიური ზმნები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს სტუდენტების მიერ შესასრულებელ ქმედებებს.
11. რეკომენდებულია საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია მოვიდეს შესაბამისობაში.
12. რეკომენდებულია სტრატეგიული მენეჯმენტი გახდეს საბაკალვრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი ზოგიერთი კურსის ლიტერატურა მოძველებულია (მაგ. მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები, ფინანსური მენეჯმენტი).
13. რეკომენდებულია, განახლდეს ლიტერატურა ახალი გამოცემებით.
14. საბაკალავრო პროგრამის "ფინანსური მენეჯმენტის" და სამაგისტრო პროგრამის "სამედიცინო ობიექტების ფინანსური მენეჯმენტის" კურსებში გამოყენებულია ერთი და იგივე ლიტერატურა (ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, ჰორნი, ვაჩოვიჩი, 2008 წლის გამოცემა ქართული თარგმანი), რაც ბადებს კითხვებს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო დონეებს შორის განსხვავებების შესახებ. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამების დონეების შესაბამისი სხვადასხვა სახელმძღვანელოების გამოყენება (მაგისტრატურა და ბაკალავრიატი).

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

უნივერსიტეტმა სრულად გაიზიარა აკრედიტაციის კომისიის რეკომენდაციები და რჩევები. მათ შესასრულებლად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. გურამ ამყოლაძე - პროფესორი (აფილირებული)
2. რევაზ ლორთქიფანიძე - პროფესორი (აფილირებული)
3. ხათუნა ჯოხაძე - პროფესორი (აფილირებული)
4. მანანა ცერცვაძე - პროფესორი (აფილირებული)
5. თემურ იოსებაძე - პროფესორი (აფილირებული)
6. ნინო ციხიშვილი - პროფესორი (აფილირებული)
7. დიმიტრი კობახიძე - ასოცირებული პროფესორი (აფილირებული)
8. სუზანა დობორჯგინიძე - პროფესორი (აფილირებული)
9. არჩილ კაპანაძე -ასოცირებული პროფესორი (აფილირებული)
10. ლევან ლაზვიაშვილი - პროფესორი (აფილირებული)
11. ინგა ბენაშვილი - პროფესორი (აფილირებული)
12. გოჩა მსხილაძე - ასოცირებული პროფესორი (აფილირებული)
13. მაია ლომსაძე-კუჭავა - მოწვეული სპეციალისტი (დოქტორი)
14. ლელა აფციაური - პროფესორი (აფილირებული)
15. თამარ ქობლიანიძე - მოწვეული სპეციალისტი (დოქტორი)
16. არჩილ ცერცვაძე - მოწვეული სპეციალისტი (დოქტორი)
17. პეტრე დაუთაშვილი - მოწვეული სპეციალისტი (დოქტორი)
18. ანა ფიცხელაური - მოწვეული სპეციალისტი (დოქტორი)
19. ნინო ლაზვიაშვილი - მოწვეული სპეციალისტი (დოქტორი)
20. მაია სირაძე - მოწვეული სპეციალისტი (დოქტორი)
21. ლაშა ჯარიაშვილი - მოწვეული სპეციალისტი
22. ირაკლი შარანგია - მოწვეული სპეციალისტი
23. აკაკი კურტანიძე - „ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი: დიმიტრი კობახიძე

ჯგუფმა ჩაატარა 6 სამუშაო სხდომა რომლებზეც განსაზღვრეს რეკომენდაციებისა და რჩევების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებები და დასახეს სამოქმედო გეგმა.

რჩევ(ებ)ი[8]

1. სასურველია, დაიგეგმოს და განხორციელდეს უფრო მეტად სასარგებლო ტრენინგები /

---

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

სამუშაო შეხვედრები / ღონისძიებები წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებულ შესაბამის საკითხებზე;
2. სასურველია, დაიგეგმოს და განხორციელდეს მეტი აქტივობა სტუდენტების კარიერული განვითარების მიმართულებით.
3. სასურველია, დაიგეგმოს და განხორციელდეს მეტი აქტივობა სტუდენტების კარიერული განვითარების მიმართულებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, დოკუმენტში სახელწოდებით "სასწავლო გეგმა და კურიკულუმი", Excel - ის ერთ - ერთი სამუშაო ფურცელი ასახავს კრედიტების სემესტრულ განაწილებას. თუმცა, 8 სემესტრის ნაცვლად წარმოდგენილია მხოლოდ 4 სემესტრი და აღნიშნული არის კრედიტების განაწილება თითოეული აკადემიური წლის და არა სემესტრები მიხედვით. შესაბამისად, სასურველია ვიზუალურად უფრო მკაფიოდ აღქმის მიზნით წარმოდგენილი იყოს კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით, აკადემიური წლების ნაცვლად.
4. სწავლის შედეგების რუკაში ნაჩვენებია ყველა კურსისთვის გაცნობის და გაღრმავების დონე (განმტკიცების გარეშე), გარდა პროგრამის ბოლო ორი შედეგისა, სადაც ყველა კურსისთვის მითითებულია ძირითადად განმტკიცების დონე. თუმცა, პროგრამის სათანადო სტრუქტურისთვის რუკაში მითითებული უნდა იყოს პროგრამის საწყისი კურსები გაცნობის დონეზე, შემდეგ პროგრამის ძირითად ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს შედეგები გაღრმავების დონეზე და ბოლოს ზოგიერთ "დასკვნით" კურსში მითითებული უნდა იყოს შედეგები განმტკიცების დონეზე.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

უნივერსიტეტის სამოქმედო ჯგუფმა გაითვალისწინა ყველა რჩევა

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.
[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში
[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

	შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია დაკორექტირდეს კურიკულუმის რუკები პროგრამის სწავლის შედეგების განვითარების თანმიმდევრულობის კუთხით.
შეფასება	რეკომენდაციის შესასრულებლად დაკორექტირდა კურიკულუმის რუქები სწავლების შედეგების განვითარების თანმიმდევრულობის კუთხით. რეკომენდაცია შესრულებულია სრულად
რჩევა[15]I	სასურველია, დაიგეგმოს და განხორციელდეს უფრო მეტად სასარგებლო ტრენინგები / სამუშაო შეხვედრები / ღონისძიებები წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებულ შესაბამის საკითხებზე;
შეფასება	დაიგეგმა და ჩატარდა სამუშაო შეხვედრები რჩევა გათვალისწინებულია
მტკიცებულებ(ები)ა	კურიკულუმი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია II	რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა მიიღოს პროაქტიული და ყოვლისმომცველი სტრატეგიული გეგმა, რომელიც პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფის მიზნით მიმართული იქნება სტუდენტთა რაოდენობის გაზრდისკენ.
შეფასება	რეკომენდაციის თანახმად უნივერსიტეტმა გაითვალისწინა სტრატეგიულ გეგმაში სხვადასხვა ღონისძიებები პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით. გეგმის თანახმად განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: გაფორმდა მემორანდუმი 144-ე საჯარო სკოლასთან, გაიზარდა ინვესტირება უნივერსიტეტის აქტივებში, განახლდა ინფრასტრუქტურა, შემცირდა პროგრამის ფასი რის შედეგად გაიზარდა სტუდენტების რაოდენობა. რეკომენდაცია შესრულებულია სრულად

[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

რჩევა II	სასურველია, დაიგეგმოს და განხორციელდეს მეტი აქტივობა სტუდენტების კარიერული განვითარების მიმართულებით.
შეფასება	განხორციელდა აქტივობები სტუდენტების კარიერული განვითარების მიმართულებით. შედეგად დასაქმებულის 7 კურსდამთავრებული სტომატოლოგიურ კლინიკაში, 6 კურსდამთავრებული საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკაში, სტაჟირებას გადიან: სტომატოლოგიურ კლინიკაში 9 სტუდენტი, სარეაბილიტაციო კლინიკაში - 11 სტუდენტი. დაგეგმილი იყო სტაჟირება რუსთვის ცენტრალურ საავადმყოფოში - 17 სტუდენტი 2024 წ., 23 სტუდენტი 2024 წ. რჩევა გათვალისწინებულია
მტკიცებულებ(ები)ა	უნივერსიტეტის ვებ-გვერდი მემორანდუმი - N144 საჯარო სკოლასთან აფილირებულ კლინიკასთან „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო“ ხელშეკრულება ივანე ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალთან ხელშეკრულება

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია III	უნივერსიტეტმა მეტი შესაძლებლობა უნდა მისცეს სტუდენტებს, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, რათა განავითარონ მათი ტრანსფერული უნარები, განსაკუთრებით საერთაშორისო გამოცდილება, სადაც განვითარება აუცილებელია.
შეფასება	რეკომენდაციის თანახმად უნივერსიტეტმა ხელი შეუწყო სტუდენტებს მიეღოთ მონაწილეობა კონფერენციებში. რეკომენდაცია შესრულებულია სრულად
რჩევა III	სასურველია, დაიგეგმოს და განხორციელდეს მეტი აქტივობა სტუდენტების კარიერული განვითარების მიმართულებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, დოკუმენტში სახელწოდებით "სასწავლო გეგმა და კურიკულუმი", Excel - ის ერთ - ერთი სამუშაო ფურცელი ასახავს კრედიტების სემესტრულ განაწილებას. თუმცა, 8 სემესტრის ნაცვლად

	წარმოდგენილია მხოლოდ 4 სემესტრი და აღნიშნული არის კრედიტების განაწილება თითოეული აკადემიური წლის და არა სემესტრები მიხედვით. შესაბამისად, სასურველია ვიზუალურად უფრო მკაფიოდ აღქმის მიზნით წარმოდგენილი იყოს კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით, აკადემიური წლების ნაცვლად.
შეფასება	რჩევის თანახმად დაკორექტირდა სწავლის შედეგების რუკა, კრედიტები გადანაწილდა სემესტრების მიხედვით. რჩევა გათვალისწინებულია
მტკიცებულებ(ები)ა	კურიკულუმი სერტიფიკატები სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ოქმი N1

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია IV	რეკომენდებულია შეფასების ინდივიდუალური კომპონენტებისთვის მაქსიმალური ქულის ცალკეული კრიტერიუმის შემუშავება.
შეფასება	რეკომენდაციის შესასრულებლად შევიდა შესწორება რიგ სილაბუსებში, განისაზღვრა შეფასების ცალკეული კრიტერიუმები ინდივიდუალური კომპონენტებისათვის. რეკომენდაცია შესრულებულია სრულად
რჩევა IV	ონე (განმტკიცების გარეშე), გარდა პროგრამის ბოლო ორი შედეგისა, სადაც ყველა კურსისთვის მითითებულია ძირითადად განმტკიცების დონე. თუმცა, პროგრამის სათანადო სტრუქტურისთვის რუკაში მითითებული უნდა იყოს პროგრამის საწყისი კურსები გაცნობის დონეზე, შემდეგ პროგრამის ძირითად ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს შედეგები გაღრმავების დონეზე და ბოლოს ზოგიერთ "დასკვნით" კურსში მითითებული უნდა იყოს შედეგები განმტკიცების დონეზე.
შეფასება	დაკორექტირდა კურიკულუმში სწავლის შედეგების რუქა, ყველა სასწავლო კურსისთვის სწავლის შედეგების შესაბამისი დონეების მითითებით. რჩევა გათვალისწინებულია
მტკიცებულებ(ები)ა	საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი კურიკულუმი

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია V	რეკომენდებულია, შუალედური და დასკვნითი გამოცდების დავალებები შემუშავდეს ისე, რომ მიმართული იყოს სტუდენტების ტრანსფერული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე.
შეფასება	რეკომენდაციის თანახმად რიგ სასწავლო კურსებში შეიცვალა შუალედურის და დასკვნითი გამოცდის ფორმა. რეკომენდაცია შესრულებულია სრულად
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	სილაბუსები: მიკროეკონომიკის პრინციპები 1, 2, მენეჯმენტის საფუძვლები, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, სტრატეგიული მენეჯმენტი, მომხმარებელთა ქცევა, ჯანდაცვის მენეჯმენტი, ჯანდაცვის ეკონომიკა, ფინანსური მენეჯმენტი, სტარტაპის მენეჯმენტი და სამეწარმეო საქმიანობა, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები
რეკომენდაცია VI	რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააქტიუროს საერთაშორისო მობილობა სემესტრული გაცვლითი პროგრამების და მოკლევადიანი საერთაშორისო პროექტების მიმართულებით.
შეფასება	ერაზმუს + გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტუდენტი იმყოფება გრანადას უნივერსიტეტში. რეკომენდაცია შესრულებულია სრულად
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	კონკურსის შედეგები ერაზმუს + პროგრამაში მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთები

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
რეკომენდაცია VII	რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს,

	რომ პროგრამა გახდეს თვითდაფინანსებადი და მდგრადი გრძელვადიან პერსპექტივაში.
შეფასება	რეკომენდაციის შესასრულებლად განხორციელდა შემდეგი: • უნივერსიტეტმა შეამცირა პროგრამის სწავლის საფასური, • გაიზარდა ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, • დასრულდა მშენებლობა (დასრულდა უნივერსიტეტის შენობის მე-4 სართული) • განახლდა უნივერსიტეტის კეფეტერია • უნივერსიტეტის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა შეხვედრები თბილისისა და მის ირგვლივ რაიონების სკოლის მოწაფეებთან შეხვედრები. • შეიქმნა ბიზნეს ლაბორატორია სადაც ტარდება „ბიზნეს ქეისების კონკურსები“ და მსგავსი ღონისძიებები. რაც გამიზნულია გაზარდოს სტუდენტების აქტივობა და მასთან ერთად წაახალისოს საზოგადოებასთან ურთიერთობა. • ასევე ტარდება პროგრამის გარეთ აქტივობები (ლექციები და პრაქტიკულები): პირველადი სამედიცინო დახმარება, სტომატოლოგიური საქმე, რეაბილიტაციისა და პოსტტრავმული მედიცინა, დროის მენეჯმენტი, სამედიცინო საქმიანობის მენეჯმენტი. რეკომენდაცია შესრულებულია სრულად
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1 შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია VIII	რეკომენდებულია, თვითშეფასების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა იმისათვის, რომ ეფექტურად მუშაობდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
შეფასება	შევიდა ცვლილებები პროგრამის შემუშავების, განხორციელების, განვითარების და შეფასების წესში, გაიწერა დაინტერესებული მხარების ჩართულობის ფორმა და მექანიზმი. რეკომენდაცია შესრულებულია სრულად
რჩევა	

შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, განვითარების და შეფასების წესი თვითშეფასების ანგარიშზე მომუშავე ჯგუფის ოქმები

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.2 გარე ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია IX	რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უფრო აქტიურად გაითვალისწინოს და შეასრულოს აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები და რჩევები.
შეფასება	უნივერსიტეტმა გაიზიარა ყველა რეკომენდაცია და რჩევა რეკომენდაცია შესრულებულია სრულად
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	რეკომენდაციების შესრულების ანგარიში

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია X	რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგები ისე რომ მოიცვას აქტიური ზმნები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს სტუდენტების მიერ შესასრულებელ ქმედებებს.
შეფასება	შევიდა შესწორებები მთელ რიგ სილაბუსებში და შესწორდა სწავლის შედეგები აქტიური ზმნების გათვალისწინებით ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით. რეკომენდაცია შესრულებულია სრულად
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	პროგრამა სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია XI	რეკომენდებულია საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია მოვიდეს შესაბამისობაში.
შეფასება	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 28 თებერვლის N472262

	გადაწყვეტილების პირველ პუნქტსა და გადაწყვეტილების დანართი N 1-ის პირველ პუნქტში შევიდა ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „ჯანდაცვის მენეჯმენტი“. რეკომენდაცია შესრულებულია სრულად
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	კურიკულუმი

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია XII	რეკომენდებულია სტრატეგიული მენეჯმენტი გახდეს საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი ზოგიერთი კურსის ლიტერატურა მოძველებულია (მაგ. მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები, ფინანსური მენეჯმენტი).
შეფასება	რეკომენდაციის თანახმად სტრატეგიული მენეჯმენტის კურსი გახდა სავალდებულო რეკომენდაცია შესრულებულია სრულად
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	კურიკულუმი სილაბუსი

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია XIII	რეკომენდებულია, განახლდეს ლიტერატურა ახალი გამოცემებით.
შეფასება	რეკომენდაციის თანახმად განახლდა ლიტერატურა რიგ სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში რეკომენდაცია შესრულებულია სრულად
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	სილაბუსები: მიკროეკონომიკის პრინციპები 1,2, მენეჯმენტის საფუძვლები, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, სტრატეგიული მენეჯმენტი, მომხმარებელთა ქცევა, ჯანდაცვის მენეჯმენტი, ჯანდაცვის ეკონომიკა, ფინანსური მენეჯმენტი,

	სტარტაპის მენეჯმენტი და სამეწარმეო საქმიანობა, ლოგისტიკა და მიწოდების ჯაჭვის მართვა, საქმიანი ურთიერთობების მართვა, ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ოპერაციების მართვა და ხარისხის მენეჯმენტი

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია XIV	საბაკალავრო პროგრამის "ფინანსური მენეჯმენტის" და სამაგისტრო პროგრამის "სამედიცინო ობიექტების ფინანსური მენეჯმენტის" კურსებში გამოყენებულია ერთი და იგივე ლიტერატურა (ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, ჰორნი, ვაჩოვიჩი, 2008 წლის გამოცემა ქართული თარგმანი), რაც ბადებს კითხვებს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო დონეებს შორის განსხვავებების შესახებ. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამების დონეების შესაბამისი სხვადასხვა სახელმძღვანელოების გამოყენება (მაგისტრატურა და ბაკალავრიატი).
შეფასება	რეკომენდაციის თანახმად შეცვლილია ლიტერატურა ფინანსური მენეჯმენტის საბაკალავრო კურსში: ხ. ბარბაქაძე - ფინანსური მენეჯმენტის - რიდერი 2023 წ. და ზ. ლიპარტია - ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, საქართველოს მაცნე, 2018. Understanding Healthcare Financial Management – 8-th ed., 2020, და ჯ.ვან ჰორნი, ჯ. ვაჰოვიჩი - ფინანსური მენეჯმენტი - თბ. 2008წ. ხოლო სამაგისტრო სასწავლო კურში გამოიყენება „სამედიცინო ობიექტების ფინანსური მენეჯმენტი“, George H. Pink, Paula H. Song – Gapenski. რეკომენდაცია შესრულებულია სრულად
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	სილაბუსები

თანდართული დოკუმენტაცია[16]

1. ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა
2. სასწავლო გეგმე - კურიკულუმი
3. სილაბუსები:

[16]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა

- ეკონომიკის პრინციპები 1
- ეკონომიკის პრინციპები 2
- მენეჯმენტის საფუძვლები
- საქარელოს საზოგადოებრივი გეოგრაფია
- ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები
- საქმიანი ურთიერთობების მართვა
- სტატისტიკის საფუძვლები
- ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები
- მარკეტინგის საფუძვლები
- ეკონომიკური ფსიქოლოგია
- სტარტაპის მენეჯმენტი და სამეწარმეო საქმიანობა
- სტატისტიკა ბიზნესსა და ეკონომიკაში
- ფინანსური მენეჯმენტი
- ჯანდაცვის ეკონომიკა
- სტრატეგიული მენეჯმენტი
- ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები
- მომხმარებელთა ქცევა
- ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები
- ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკა და კანონმდებლობა
- ფინანსური საქმიანობის ანალიზი
- ჯანდაცვის მენეჯმენტი
- ლოგისტიკა და მიწოდების ჯაჭვის მართვა
- ოპერაციების მართვა და ხარისხის მენეჯმენტი
- ადამიანური რესურსების მენეჯმენტი
- ბიზნესის ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა
- საბაკალავრო ნაშრომი

4. სამუშაო ჯგუფის ექმები:
   - ოქმი #1 (07.04.2025)
   - ოქმი #2 (16.05.2025)
   - ოქმი #3 (08.07.2025)
   - ოქმი #4 (10.10.2025)
   - ოქმი #5 (10.12.2025)
   - ოქმი #6 (16.01.2025)
5. მემორანდუმი/ხელშეკრულება
   - მემორანდუმი - N144 საჯარო სკოლასთან
   - ივანე ბოკერიას სახელობის რეფერალური ჰოსპიტალი
   - სს „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო“
6. კონფერენციაში მონაწილეობა:
   - ლუკა იაკობიძე
   - ფერო თურქაძე
   - ფერო თურქაძე - სეუ

- თეკლა კირცხალია

7. გაცვლით ერაზმუს + პროგრამაში მონაწილეობა
   - Nomination Letter კალანდაძე ლაშა-გიორგი
   - კალანდაძე ლაშა-გიორგი - დასტური მიმღები უნივერსიტეტიდან
   - კალანდაძე ლაშა-გიორგი - კონკურსის შედეგები
   - კალანდაძე ლაშა-გიორგი - სასწავლო გეგმა
8. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, განვითარების და შეფასების წესი
9. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება საბაკალავრო პროგრამის სახელის შეცვლაზე - 1848925

ექსპერტის ხელმოწერა